2019 წლის 30 მაისს, ქალაქ მარნეულში დაარსდა შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯი (ს/კ: 405337880). 2025 წლის 7 აგვისტოში კოლეჯმა საფირმო სახელწოდება შეიცვალა. საფირმო სახელი „შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯი“ შეიცვალა საფირმო სახელწოდებით შპს „გეოგლობალ აკადემიით“, რადგან კოლეჯი უკვე აღარ ახორციელებდა მხოლოდ ჯანდაცვის მიმართულების პროფესიულ პროგრამებს.

შპს “გეოგლობალ აკადემია”. აკადემიას პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს MES 7 20 00351566 28/04/2020 გადაწყვეტილებით მიენიჭა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განისაზღვრა 164-ით. აკადემიას ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით მიენიჭა უფლებამოსილება განეხორციელებია შემდეგი პროფესიული პროგრამები:

1. საექთნო საქმე - მეხუთე დონე, კვალიფიკაცია - უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საექთნო საქმეში, სწავლების დეტალური სფეროს კოდი 0913, ადგილების ზღვრული რაოდენობა 100;
2. ფარმაცია (სააფთიაქო) – მეხუთე დონე, კვალიფიკაცია - უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ფარმაციაში, სწავლების დეტალური სფეროს კოდი 0916, ადგილების ზღვრული რაოდენობა 64;

აცნობიერებს რა პასუხისმგებლობას ქვემო ქართლის რეგიონის, ქვეყნისა და საზოგადოების წინაშე, აკადემიამ მიზნად დაისახა:

ა) საგანმანათლებლო პროგრამებისა და სასწავლო პროცესების მუდმივი გაუმჯობესობა და უწყვეტი განვითარება;
ბ) სტუდენტთა პროფესიული მომზადების უზრუნველყოფა და რეგიონალურ და ეროვნულ ბაზრებზე კონკურენტუნარიანობის გაზრდის მიზნით მათი მხარდაჭერა;
გ) დასაქმების ბაზრზე მუდმივი დაკვირვება და ახალი პროფესიული პროგრამების დამატება და განხორციელება;
დ) სასწავლო პროცესში ტექნოლოგიების განვითარების ხელშეწყობა;
ე) ეროვნული და საერთაშორისო სტუდენტის მობილობის ხელშეწყობა;
ვ) პროფესიული სტუდენტებისათვის განვითარებისათვის მხარდაჭერა;
ზ) ადმინისტრაციული პერსონალისა და პროფესიული მასწავლებლების პროფესიული განვითარების ხელშეწყობა;
თ) პროფესიული განათლების პოპულარიზაცია და ზრდასრულთა განათლების ხელშეწყობა; ი) აკადემიის აღიარება პროფესიულ საგანმანათლებლო სივრცეში.

აკადემიას პრიორიტეტად მიაჩნია: პროფესიული განათლების, პროფესიული მომზადება/პროფესიული გადამზადების შეთავაზება და სწავლა/სწავლების კომპონენეტების განვითარება სხვადასხვა მიმართულებით. ქვემო ქართლის რეგიონსა და ქვეყნის მასშტაბით დასაქმების შრომის ბაზარზე ჯანსაღი კონკურენციისათვის ხელშეწყობა.

აკადემიის ადგილმდებარეობამ, ქვემო ქართლის საჭიროებებმა და რეგიონის მზარდმა მოსახლეობამ განსაზღვრა აკადემიის ზრდა და საქმიანობის სფერო - პროფესიული სწავლებას ჯანდაცვის მიმართულებით საავტორიზაციო პერიოდში დაემატა შემდეგი პროფესიული პროგრამები:

1. აღმზრდელი - მეხუთე დონე, კვალიფიკაცია - უმაღლესი პროფესიული

კვალიფიკაცია სკოლამდელ აღზრდაში, სწავლების დეტალური სფეროს კოდი - 0112, ადგილების ზღვრული რაოდენობა 80 (პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება 26/04/2023 MES 4 23 0000458584)

2. საფინანსო სერვისები - მესამე დონე, კვალიფიკაცია - საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია საფინანსო სერვსებში სწავლების დეტალური სფეროს კოდი - 0412, ადგილების ზღვრული რაოდენობა 40, (პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება 26/04/2023 MES 5 23 0000458585)

3. საბაჟო საქმე - მეხუთე დონე, კვალიფიკაცია - უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საბაჟო საქმეში, სწავლების დეტალური სფეროს კოდი - 1032, ადგილების ზღვრული რაოდენობა 50, (პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება 13/09/2024 MES 9 24 0001123795);

4. ვეტერინარია - მეხუთე დონე, კვალიფიკაცია -უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ვეტერინარიაში,სწავლების დეტალური სფეროს კოდი 0841, ადგილების ზღვრული რაოდენობა 50 (პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება 13/09/2024 MES 8 24 0001123794);

5. ინფორმაციის ტექნოლოგიები - მესამე დონე, კვალიფიკაცია - საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში, სწავლების დეტალური სფეროს კოდი - 0612, ადგილების ზღვრული რაოდენობა 40, (პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება 26/04/2023 MES 0 23 0000458580).

ამასთან

ა) პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით (MES 9 23 0001302409 04/10/2023) შპს გეოგლობალ აკადემიას პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „აღმზრდელი“ გაეზარდა პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობა ზღვრული რაოდენობა და განისაზღვრა 160-ით.

ბ) პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით (MES 8 23 0001302408 04/10/2023) შპს გეოგლობალ აკადემიას პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „საექთნო საქმე“ გაეზარდა პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობა ზღვრული რაოდენობა და განისაზღვრა 160-ით. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით (MES 0 24 0001123796 13/09/2024) შპს გეოგლობალ აკადემიას პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „საექთნო საქმე“ გაეზარდა პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობა ზღვრული რაოდენობა და განისაზღვრა 240-ით.

გ) პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით (MES 7 24 0001123793 13/09/2024) შპს გეოგლობალ აკადემიას პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „ფარმაცია (სააფთიაქო)“ გაეზარდა

პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობა ზღვრული რაოდენობა და განისაზღვრა 114 -ით.

დ) 2022 წლის 2, 3 და 4 ნოემბერს აკადემიაში განხორციელდა გეგმიური სრული მონიტორინგი. მნიშვნელოვანია, რომ ხარვეზი არ დაფიქსირებულა და ექსპერტების მიერ გაიცა მხოლოდ განმავითარებელი რეკომენდაციები, რომელთა დიდი ნაწილი გაზიარებული იქნა აკადემიის მიერ.

ქვემო ქართლი ეთნიკურად მრავალფეროვანი რეგიონია. საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობებისათვის განათლების მიღების თანაბარი შესაძლებლობება დაცულია საქართველოს კონსტიტუციით. აკადემიამ დაარსებისთანავე, აიღო სოციალური პასუხისმგებლობა და ქვემო ქართლში ახორციელებს სახელმწიფო განათლების პოლიტიკას ეთნიკური უმცირესობების მიმართ. აკადემიაში უზრუნველყოფილია თანასწორობის პრინციპები, როგორც მშობლიური ენისა და იდენტობის შენარჩუნების, ისე ხარისხიან პროფესიული განათლებაზე წვდომის თვალსაზრისით. აკადემია, როგორც სოციალურად პასუხისმგებლიანი საგანმანათლებლო დაწესებულება, ქართული ენის შემსწავლელ კურსებს უფასოდ სთავაზობს აზერბაიჯანელ მოსახლეობას, რითაც ხელს უწყობს მათ სწრაფ ინტეგრაციას საზოგადოებაში და ამავე დროს ახორციელებს ქართული ენის შესწავლის სახელმწიფო პოლიტიკას.

რეავტორიზაციისათვის შპს გეოგლობალ აკადემიამ დაიმატა ფართი ქალაქ ბოლნისში. ბოლნისის ფილიალის დამატება განაპირობა შემდეგმა ფაქტორებმა:

1. რეგიონის მზარდი მოსახლეობა (წყარო - საქსტატის მონაცემები)
2. პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობა - ბოლნისში არ არსებობს არც სახელმწიფო და არც კერძო პროფესიული კოლეჯი
3. ქ. მარნეულის სახელმწიფო (ერთი) კოლეჯის და სამი კერძო კოლეჯის პროფესიული სტუდენტების გარკვეული ნაწილი ბოლნისისა და დმანისის რაიონიდან დადიან;
4. ტრანსპორტის სიმცირე იწვევს ჩარიცხული სტუდენტების სტატუსის შეჩერებას.
5. შპს გეოგლობალ აკადემიის ბოლნისელი და დმანისელი პროფესიული სტუდენტების ნაწილს შეჩერებული აქვს სტატუსი.
6. დმანისი რაიონი გაცილებით ახლოა ბოლნისთან, ვიდრე მარნეულთან;
7. აკადემიამ მიიღო სახელმწიფოებრივი გადაწყვიტილება ბოლნისელ და დმანისელ პროფესიულ სტუდენტებს მოემსახუროს ადგილზე.
8. შპს გეოგლობალ აკადემია პირნათლად ასრულებს თავის მისიასა და ხედვას.

აკადემიის მისია - შპს „გეოგლობალ აკადემია“ არის მრავალპროფილური პროფესიული საგანმანათლებლო სივრცე. აკადემია ხელს უწყობს მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლას, პიროვნულ და პროფესიულ განვითარებას. ამზადებს პროფესიული უნარებით აღჭურვილ, მაღალკვალიფიციურ, სხვადასხვა მიმართულების მქონე სპეციალისტებს, რომლებთაც თავიანთი წვლილი შეაქვთ ქვეყნისა და ქვემო ქართლის რეგიონის ეკონომიკურ განვითარებაში.

ხედვა - აკადემია 2031 წელს ეროვნულ საგანმანათლებლო სივრცეში აღიარებული და წარმატებული ხარისხიანი პროფესიული სწავლებისა და განვითარების კერაა, რომელიც საზოგადოებას სთავაზობს პროფესიული განათლების სერვისების ფართო

სპექტრს, პასუხობს ქვეყნისა და ქვემო ქართლის წინაშე არსებულ გამოწვევებს. ბოლნისში აკადემია გეგმავს განახორციელოს შემდეგი პროფესიული პროგრამები:

- საბაჟო საქმე - ადგილების ზღვრული რაოდენობა 80;
- აღმზრდელი - ადგილების ზღვრული რაოდენობა 80;
- ვეტერინარია - ადგილების ზღვრული რაოდენობა 80;
- საფინანსო სერვისები - ადგილების ზღვრული რაოდენობა 80.

ბოლნისის ფილიალს ემსახურება ექთანი, ბიბლიოთეკარი, ინფორმაციული ტექნოლოგიების კოორდინატორი, სასწავლო პროცესის მართვის კოორდინატორი, დაცვის თანამშრომელი, დამლაგებელი. ამ დროისთვის ადამიანური რესურსების მართვა და საქმისწარმოება ცენტრალიზებულია, ხარისხის მართვა ცენტრალიზებულია, ასევე ცენტრალიზებულია საზოგადოებასთან ურთიერთობა, კარიერული განვითარება, სტუდენტური სერვისები და საფინანსო მომსახურება.

აკადემია პროფესიულ სტუდენტებს სთავაზობს ხარისხიან პროფესიულ განათლებას, დასაქმებაში ხელშეწყობას, მრავალფეროვანი სტუდენტური ცხოვრებით უზრუნველყოფას, მათი ინიციატივების მხარდაჭერას. აკადემია ხელს უწყობს პროფესიული განათლების პოპულარიზაციას და გახდა საიმედო და სასურველი პარტნიორი საგანმანათლებლო სივრცე ქვემო ქართლის რეგიონისა და ქვეყნის მასშტაბით.

აკადემიის პერსონალს პროფესიულ საგანმანათლებლო სივრცეში მოღვაწეობის დიდი გამოცდილება აქვს. აკადემია ზრუნავს და ხელს უწყობს მათ პროფესიულ განვითარებას, რასაც ადასტურებს მათ პირად საქმეებში არსებული სხვადასხვა ტიპის სერტიფიკატები.

შპს გეოგლობალ აკადემიას გააჩნია თანამედროვე ინფრასტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისი სათანადოდ აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიები, კომპიუტერული კლასები, სტუდენტური სივრცეები და სარეაკრიაციო ზონები, კეთილმოწყობილი სანიტარული კვანძები, ცენტრალური გათბობა, ბიბლიოთეკა (წიგნადი ფონდით და ელექტრონული სასწავლო მასალა), პირველადი სამედიცინო დახმარების პუნქტი და ყველა ის სიკეთე, რაც აუცილებელია თანამედროვე პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ფუნქციონირებისა და განვითარებისათვის. აკადემიას გაფორმებული აქვს შენობაში მდებარე კაფეტერიასთან შეთანხმება, რომლის თანახმადაც კაფეტერია აკადემიის თანამშრომლებსა და პროფესიულ სტუდენტებს ემსახურება შეღავათიანი ფასებით. აკადემიის მფლობელობაშია 158 კომპიუტერი (მარნეული - 111, ბოლნისი - 47) 2 პროექტორი, 17 ასლგადამღები (მარნეული - 12, ბოლნისი - 5), 20 სადემოსტრაციო საშუალება - ეკრანი (მარნეული - 15, ბოლნისი - 5). აკადემიის მაღალკვალიფიციური პერსონალი და შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები უზრუნველყოფენ არსებული მატერიალურ-ტექნიკური რესურსების ეფექტიან გამოყენებას, რაც ხელს შეუწყობს სტუდენტების პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებას, ცოდნის გაღრმავებას და კონკურენტუნარიანობის ზრდას. აკადემიაში იზრდებიან დემოკრატიული ღირებულებებისადმი ერთგული ახალი თაობები, რომლებიც შეძლებენ თავიანთი პოტენციალის მაქსიმალურად გამოვლენასა და გამოყენებას.

შპს გეოგლობალ აკადემია მოკლე დროში გადაიქცა საგანმანათლებლო ბაზარზე არსებული მოთხოვნების გათვალისწინებით, პროფესიული განათლების მიღების

საუკეთესო ცენტრად.

აკადემიის განვითარებასა და ზრდას შთამბეჭდავის სტატისტიკური მონაცემებიც მეტყველებს.
2020 წელს აკადემიაში დასაქმებული იყო 37 პირი, მათ შორის 12 ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი, პროფესიული მასწავლებელი -25. აკადემია ფუნქციონირებდა 762.04 კვ.მ. ფართზე.

რეავტორიზაციისთვის აკადემიაში დასაქმებულია 208 პირი, მათ შორის 30 ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალია, პროფესიული მასწავლებელი კი 178. აკადემიის საერთო ფართია 2744, 28 კვ.მ ფართია (ქ. მარნეული - 2420, 68 კვ.მ; ქ. ბოლნისი - 323, 6 კვ.მ).

აკადემიის სტატისტიკური მონაცემები 2020 წელი	
პროფესიული მასწავლებლების თანაფარდობა ადმინისტრაციული პერსონალთან	25 /12
პროფესიული მასწავლებლების თანაფარდობა ზღვრული რაოდენობის სტუდენტებთან	25 /164
ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის თანაფარდობა ზღვრული რაოდენობის სტუდენტებთან	12 /164
სტუდენტების ზღვრული რაოდენობის თანაფარდობა კოლეჯის მთლიან პერსონალთან	164 /37
პროფესიული პროგრამების თანაფარდობა პროფესიულ მასწავლებლებთან	2 / 25
სტუდენტების ზღვრული რაოდენობის თანაფარდობა კოლეჯში არსებული კომპიუტერების რაოდენობასთან	164 / 35
აკადემიის საერთო ფართის თანაფარდობა სტუდენტების ზღვრული რაოდენობასთან	762,04/164
აკადემიის სტატისტიკური მონაცემები 2025 წელი	
პროფესიული მასწავლებლების თანაფარდობა ადმინისტრაციულდა დამხმარე პერსონალთან	178/30
პროფესიული მასწავლებლების თანაფარდობა აქტიურ სტუდენტებთან 28	178/577
ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის თანაფარდობა აქტიურ სტუდენტებთან	30/577
სტუდენტების ზღვრული რაოდენობის თანაფარდობა აკადემიის მთლიან პერსონალთან	694 /208
პროფესიული პროგრამების თანაფარდობა მასწავლებლებთან	178/7

სტუდენტების ზღვრული რაოდენობის თანაფარდობა აკადემიაში არსებული კომპიუტერების რაოდენობასთან	694/158
აკადემიის საერთო ფართის თანაფარდობა სტუდენტებს ზღვრული რაოდენობასთან	2744, 28 /694